თევზსამეურნეო კლასტერი საქართველოში როგორც ორგანიზაციული ნოვაცია

ნინო ქავთარაძე
სტუ-ს პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი
არჩილ ფარცვანია
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: a.phartsvania@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ავტორების მიდგომა საქართველოს თევზსამეურნეო დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემასთან დაკავშირებით თევზსამეურნეო დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციების და საქმიანობის სხვა სფეროების წარმომადგენლების ინტეგრირების საშუალებებით. განისაზღვრა თევზსამეურნეო კლასტერის შექმნის და ფუნქციონირების საბაზო პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: თევზსამეურნეო კლასტერი, თევზის მრეწველობა, ეკონომიკური ინტეგრირება.

შესავალი

საქართველოს თევზსამეურნეო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მართვის არსებული მექანიზმების სრულყოფას, ორგანიზაციული ნოვაციების გამოყენებას. საქართველოს თევზსამეურნეო დარგში კვლავინდებურად ჭარბობს თევზის პროდუქციის ექსპორტის სანედლეულო ორიენტაცია, ექსპორტზე გატანილი საბოლოო პროდუქტის ხვედრითი წილი კვლავინდებურად უმნიშვნელოა. ცალკეული თევზსამეურნეო ორგანიზაცია დამოუკიდებლად ვერ შესძლებს იპოვოს გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში და გადაჭრას ამოცანები დამდგარი სახელმწიფო დონეზე. აუცილებელია თევზსამეურნეო დარგის ყველა მიმართულების ბიზნესსტრუქტურების ინტეგრაცია. საერთაშორისო გამოცდილება უჩვენებს , რომ ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს კლასტერული მიდგომების გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მისაღებად. აამასთან დაკავშირებით, აუცილებელი ხდება კლასტერული მიდგომის ელემენტების გამოყენება საქართველოს თევზსამეურნეო ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

კლასტერების ფორმირების საშუალებით კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფის თეორიული ასპექტები ჩამოყალიბებულია მ.პორტერის,ე. დაჰმენის,კ. მორგანის, ლ. მეტსონის, მ.ფელდმანის, ლ. ალექსანდროვის, ა. ვორონოვის, ც. კუპრიანოვის, ვ. ტრეტიაკის და სხვა უცხოელი მეცნიერების ნაშრომებში. ქართველ მეცნიერებს შორის უნდა გამოვყოთ ე. ბარათაშვილის, ე. ბალიაშვილის, ზ. ღუდუშაურის, ნ. ძიძიკაშვილის, ა. აბრალავას, ნ. ბაკაშვილის, ო. გორშნევას, ი. მესხიას, ე. სეფაშვილის, ი. ჯელიას, ლ. ყორღანაშვილის, რ. სანდროშვილის და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომები.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკაში კლასტერული განვითარების თეორიის ფუძემდებლად ითვლება მ. პორტერი, რომელმაც შეისწავლა აღნიშნული პრობლემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საწარმოების კონკურენტული პოზიციების კვლევის მეშვეობით. მ.პორტერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კონკურენტუნარიანობას აქვს თვისება გავრცელდეს, გადაეცეს უახლოეს გარემოცვას. ცალკეული ორგანიზაცია, რომელსაც ახასიათებს მდგრადი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე და გააჩნია მისი არსებითი წილი, აღწევს კონკურენტუნარიანობის უმაღლეს დონეს. კონკურენტუნარიანობის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს ეფექტურობა, მაღალი შემოსავლები, წარმოების მაშტაბები. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მოცემულ ორგანიზაციას შეამციროს ფასები მუდმივი ხარჯების გამო. გაზარდოს შესყიდვები, დანერგოს ინოვაციები. როგორც შედეგი მაღლდემა მომწოდებლების, მყიდველების და კონკურენტების კონკურენტუნარიანობა. პარტნიორების და კონკურენტების გაძლიერება კიდევ უფრო აძლიერებს თავად ორგანიზაციას, ამრიგად კონკურენტუნარ-

იანობის ურთიერთგადაცემის ხარჯზე ორგანიზაციებს შორის მყარდება ურთიერთკავშირი, იქმნება "მტევანი". როგორც შედეგი ჩნდება ინტეგრირებული სტრუქტურა - "კლასტერი". ამრიგად, კლასტერი შეიძლება განვმარტოდ, როგორც ინტეგრირებული სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანებულია გეოგრაფიულად ლოკალიზებული ურთიერთდაკავშირებული საწარმოების და მეწარმეების ჯგუფი, შეკრული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების ერთობით და მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ურთიერთუზრუნველყოფით.

კლასტერების თეორია ასახულია სხვა მეცნიერების ნაშრომებშიც. შვედი მეცნიერების ნაშრომებში კლასტერები ადაპტირებულია ეროვნული ეკონომიკის მოდელებთან. შვედი მეცნიერი ერიკ დაჰმენი აღნიშნავდა, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს ეკონომიკის ცალკეული სექტორებში განვითარების შესაძლებლობების არსებობა და ეკონომიკის სხვა სექტორებში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

მერიან ფელდმანის კლასტერული თეორია ეფუძნება სამეწარმეო საქმიანობის დივერსიფიკაციური ფორმების შესწავლას. მისი ააზრით დივერსიფიკაცია ქმნის წინაპირობას კლასტერების ფორმირებისათვის ამასთან მათ საფუძველს წარმოადგენს ინოვაციური აქტიურობა.

კლასტერი მოიცავს წარმოების სრულ ჯაჭვს: სამეცნიერო კვლევებს, საწარმოო ნედლეულის მოპოვებას ან შეძენას და საბოლოო პროდუქტის გამოშვებას. კლასტერის ცენტრს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს რამოდენიმე მსხვილი კომპანია-ინტეგრატორი. კლასტერის მონაწილეთა შორის ნარჩუნდება კონკურენტული ურთიერთობები, რაც წარმოადგენსმის განმასხვავებელ თავისებურებას სხვა ინტეგრირებული სტრუქტურებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ცნება "სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი" და "ტერიტორიულ-საწარმოო კოოპერაცია". შეიძლება ითქვას, რომ კლასტერს გარკვეულ წილად აქვს მათან საერთო. სახელმწიფო ახდენდა რესურსის კონცენტრაციას, ქმნიდა ტერიტორიულ სამრეწველო კომპლექსებს და გეგმავდა და ქმნიდა საკვანძო სამრეწველო საწარმოების ირგვლივ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, საშუალო და უმაღლესი განათლების სასწავლებლებს, საქონლის გასაღების ინფრასტრუქტურას.

თევზის მეურნეობის განვითარებაზე მიმართული კლასტერული პოლიტიკის გამოყენების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნორვეგიის სამეფოს გამოცდილება. გასული საუკუნის 90-ნი წლების დასაწყისში ამ სახელმწიფოს მთავრობამ დაიწყო ინტეგრაციული პროექტის განხორციელება, რომლის ამოცანა იყო თევზსამეურნეო სექტორში მოქმედი ყველა კომპანიის გაერთიანება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ინიციატივა თავის თავში მოიცავდა კვლევითი ქსელის ფორმირებას, დარგში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, ერთობლივი ინტერნეტ-პრეზენტაციების ჩატარებას. პროექტში ჩართული იქნა 450 ნორვეგიული ორგანიზაცია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბათ მუშაობდნენ თევზის მრეწველობაზე.

კლასტერული პოლიტიკის განხორციელების შედეგი იყო ის, რომ თუ კი ინტეგრაციის დაწყებამდე (1990 წელს) დანახარჯები ერთი კილოგრამი ორაგულის წარმოებაზე და რეალიზებაზე შეადგენდა 70 ნორვეგიულ კრონას (ფრანკო ფასი, რომელიც მოიცავდა პროდუქტის მიწოდებას ნორვეგიის საზღვრებამდე) უკვე 1996 წელს ეს დანახარჯები შემცირდა 3-ჯერ და შეადგინა 24 ნორვეგიული კრონა. ასეთი პოლიტიკის შედეგი გახდა დასავლეთ ევროპაში ნორვეგიული ორაგულის მოხმარების მკვეთრი ზრდა (თითქმის 10-ჯერ). შესაბამისად ნორვეგიული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თევზის მეურნეობის კლასტერის ბირთვად უნდა გახდეს მსხვილი თევზსამრეწველო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით უნდა ანხორციელებდნენ როგორც თევზის მოპოვებას, ასევე მის გადამუშავებას. საქართველოს შემთხვევაში ეს უნდა იყვეს თევზის ფქვილის და ცხიმის მწარმოებელი კომპანიები. კლასტერის ლიდერების გარშემო თავი უნდა მოიყარონ საშუალო და მცირე თევზსამეურნეო საწარმოებმა, რომელთა სპეციალიზირება იქნება აკვაკულტურის პროდუქციის წარმოება, ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოება, ცალკეული ოპერაციების განხორციელება, თევზის და ზღვის პროდუქტების მოპოვება, თევზის და ზღვის პროდუქტების გადამუშავება.

თევზის მრეწველობის საწარმოების გარდა კლასტერის მონაწილეებად უნდა გახდნენ ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ჭერის იარღების, აკვაკულტურის დანადგარებისა და აღჭურვილობის, სპეცტრანსპორტის, ტარის მიწოდებით, სხვა თანმდევი მომსახურების გაწევით. კლასტერი უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურულ რგოლებს.

ინოვაციები წარმოადგენენ კლასტერის აუცი-

ლებელ შემადგენელს, ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ თევზსამეურნეო კლასტერს თავის შემადგენლობაში ყავდეს სტრუქტურა, რომელიც შეიმუშავებს ახალი სახის პროდუქციას, ახალ ტექნოლოგიებს. ეს შეიძლება იყვეს კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები.

თევზსამეურნეო კლასტერის საკადრო უზრუნველყოფა ასევე განახორციელებენ კლასტერში შემავალი განსხვავებული დონის სასწავლო დაწესებულებები. ამასთან თანამშრომლობა უნდა იყვეს აუცილებლად ურთიერთხელსაყრელი. კლასტერი და მასში შემავალი ორგანიზაციები განსაზღვრავენ სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებებს, განახორციელებენ მათ დაფინანსებას, კვლევების შედეგები მიიღებენ პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გაზრდის არამარტო თევზსამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობას, არამრდ ასევე სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობასაც. სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება, სასწავლო გეგმების სრულყოფა, სასწავლო პროცესში რეალური სექტორიდან სპეციალისტების მოზიდვა, კურსდამთავრებულების დასაქმება და ა.შ., ეს არის ის მიმართულებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობა.

კლასტერის პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა მოითხოვს შესაბამისი სტრუქტურების არსებობას კონიუტურული კვლევების ჩასატარებლად, ბაზარზე პროდუქციის წინ წასაწევათ, ბაზრის მოსაცავად სამუშაოების გასატარებლად, კონკურენტების მონიტორინგისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერის სტიმულირებაზე დაფუძნებული ქვეყნის, ან მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ბიზნესისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების ინიციატივებს და ერთობლივ ძალისხმევას, რაც მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე ყველაზე ეფექტურად ვლინდება კლასტერების ფორმირებისას საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმებისა გამოყენებისას. როლი, რომელიც ამ დროს უნდა ითამაშონ სახელმწიფო მართვის ორგანოებმა და ბიზნესმა განსხვავებულია, მაგრამ ურთიერთშემავსებელია.

ადმინისტრაციის როლი უნდა შედგებოდეს კლასტერების აქტივიზაციის პროცესების ინიცირებაში და მხარდაჭერაში. რეგიონალური ადმინისტრაციები პრაქტიკულად მუდმივად ჩართულია ბიზნესის საქმიანობაში. ბიზნესი კი ხშირად ახდენს ძლიერ გავლენას რეგიონალურ ადმინისტრაციაზე.

რეგიონალურ და მუნიციპალურ ადმინისტრაციებს საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე შექმნილი კლასტერების პირობებში გააჩნიათ კლასტერების სტიმულირების მაღალეფექტური ხერხები და ერთ-ერთი მათგანი არის - მიზნობრივი პროგრამები, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენა იქონიონ კლასტერების განვითარებაზე.

თევზსამეურნეო კლასტერის შექმნის წინადადების რეალიზაცია ხდება, როგორც ყველა ნებისმიერ თვითრეგულირებად სისტემაში, შესაბამისი მექანიზმების მეშვეობით. სამეცნიერო ლიტერატურაში დაწვრილებით არის გამოკვლეული და მოცემული ეკონომიკური მექანიზმების განსხვავებული სახეობები, როგორიც არის მეურნეობრივი მექანიზმი, ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი და ა.შ.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, თევზსამეურნეო კლასტერის ფუნქციონირების ორგანიზაციულ - ეკონომიკური მექანიზმის ქვეშ, რომელიც მოიცავს საწარმოო ძალების და საწარმოო ურთიერთობებისძირითად ელემენტებს, გაიგება მართვის სუბიექტების და ობიექტების თანამოქმედება. ამასთან, თევზსამეურნეო კლასტერის ეკონომიკური მექანიზმის სუბიექტებს წარმოადგენენ მეურნეობრივი სტრუქტურები საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზსამეურნეო წარმოებას. ხსენებული მექანიზმის ობიექტებს წარმოადგენენ ზემოთაღწერილი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ თევზპროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე.

უნდა შეიქმნას სისტემის (კლასტერის) მართვის ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თევზსამეურნეო კლასტერის ეფექტურ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს კლასტერში შემავალი ორგანიზაციების და შესაბამისად წარმოებული თევზის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მექანიზმის ძირითად ელემენტს წარმოადგენს კლასტერის მართვის ორგანო. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია კლასტერის მართვის სტრატეგიული კომიტეტის შექმნა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სტრუქტურა, ფუნქციები, რომელიც მოქმედებს კლასტერის მართვის პრინციპების საფუძველზე და იყენებს მართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ ბერკეტებს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. უპირველეს ყოვლისა უნდა შემუშავდეს დებულება კლასტერის შესახებ. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს სხვა დებულებებიც, რომლებიც განსაზღვრავენ მხარეთა ურთიერთობებს, მათ ფუნქციებს და ა.შ.; ასევე შემუშავებული უნდა

იქნეს სახელმძღვანელო რეკომენდაციები, ნორმები, ნორმატივები, კლასტერის სტიმულირების, დაკრედიტების მეთოდები.

განვიხილოთ კლასტერის მართვის ეკონომიკური მექანიზმის ფორმირებისათვის შემოთავაზებული ძირითადი ელემენტები. სისტემის მართვის ნებისმიერი მექანიზმის საფუძველს წარმოადგენენ მართვის პრინციპები, რომლებიც თამაშობენ კლასტერის ფორმირების და მართვის ძირითადი წესების როლს.

ნებაყოფლობის პრინციპი. თევზსამეურნეო კლასტერში საწარმოების, ორგანიზაციების და მეწარმეების შესვლის გადაწყვეტილება მიიღება ამ სტრუქტურების წესდების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ თევზსამეურნეო ინტეგრაციის პროცესი განხორციელდეს არა დაძალებითი, არამედ დარწმუნებითი ნებაყოფლობის პრინციპებზე დაყრდნობით,რათა პროცესი არ დავიდეს თევზსამეურნეო საწარმოების რეფორმირების მორიგ "ტალღამდე".

ერთიანობის პრინციპი. თევზსამეურნეო კლასტერის შექმნისას და საქმიანობისას უნდა არსებობდეს მკაფიო შეთანხმებულობა ინტეგრაციული პროცესების ყველა რგოლს (მონაწილეს) შორის. მატერიალურ - ტექნიკური და ფინანსური პირობების შექმნასთან ერთად შესაძლებელია გადასვლა ინტეგრაციის მარტივი ფორმებიდან უფრო რთულ ფორმებზე.

"ბირთვის", ანუ წამყვანი საწარმოს, პრინციპი. თევზსამეურნეო კლასტერის შექმნისას წარმოიშვება კითხვა საბაზისო საწარმო-ინტეგრატორის შერჩევის შესახებ, რომლის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს ფინანსური კუთხით მდგრადმა საწარმომ შენარჩუნებული საწარმოო პოტენციალით. საწარმო - ინტეგრატორი, როგორც სათაო საწარმო, მოცემულ ფორმირების მონაწილეთა შორის უნდა გამოირჩევოდეს არა მარტო განვითარების დონით, არამედ უნდა იყვეს ლიდერი ორგანიზაციულ - ტექნოლოგიურ თვალსაზრისით.

პრინციპი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მხარდაჭერის და ხელის შეწყობის. თევზსამეურნეო კლასტერის წარმატებული საქმიანობა დიდწილად განპირობებულია საწარმოების ხელმძღვანელების უსახელმწიფო დახმარება,რთიერთობების ხასიათზე მუნიციპალურ და რეგიონალურ ადმინისტრაციულ ორგანოებთან. პრაქტიკა უჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კი ინტეგრირებულ მეურნეობრივ სტრუქტურებს ეწევა აუცილებელი მატერიალურ-ფინანსური (სასტარტო) მხარდაჭერა, ისინი ფუნქციონირებენ უფრო ეფექტურად. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოებმა არ ჩაანაცვლონ (არ შეასრულონ) მეურნეობრივი მართვის ფუნქციები და ხელი შეუწყოს საქმეს საკუთარი კომპეტენციის ჩარჩოებში.

კლასტერის წევრების თანაბარუფლებიანი დაინტერესების პრინციპი. კლასტერის ყველა წევრები ერთიანდებიან და ფუნქციონირებენ კლასტერში წევრობის თანაბაარუფლებიანობის და თავისი ფუნქციების და საერთო კაპიტალში თავისი წილების ფარგლებში სამეწარმეო დამოუკიდებლობის პრინციპებზე დაფუძნებით.

ჩვენი მოსაზრებით კლასტერის შექმნის ინიციატორი უნდა გახდეს სტრატეგიული კომიტეტი, რომელშიც შევლენ თევზსამეურნეო დარგის, მეცნიერების და ხელისუფლების წარმომადგენლები. სტრატეგიული კომიტეტი განსაზღვრავს და აკონტროლებს მაკოორდინირებელ საბაზო ორგანიზაციას, რომელიც არსობრივადწარმართავს გლასტერის განვითარების პროგრამას. კლასტერის მონაწილეთა შორის ნაწილდება ფუნქციონალური ვალდებულებები (განისაზღვრება ვალდებულებები ვინ წყვეტს ამოცანებს დაკავშირებულს კადრების გადამზადებასთან, კონსალტინგთან, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებასთან, დაკავებულია ხარისხის პრობლემებით, ლოჯისტიკით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და ა.შ.). პარტნიორების კლასტერში გაერთიანება მტკიცდება თანამშრომლობის ხელშეკრულებით და იმართება კლასტერის სათათბიროს მიერ რაიმე ზედნაშენი სტრუქტურის გარეშე.

ქვემოთ მოცემულ ნახატზე წარმოდგენილია ჩვენს მიერ შემოთავაზებულითევზსამეურნეო კლასტერის ორგანიზაციული სტრუქტურა.

კლასტერის მაშტაბები საშუალებას მოგვცემენ შევამციროთ დანახარჯები დაკავშირებული თევზის პროდუქციის წარმოებასთან და რეალიზაციასთან, შესაბამისად გაიზრდება გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი. ამასთან, გარკვეულწილად ცალკეული თევზსამეურნეო ორგანიზაციების მართვის მეთოდებისაგან განსხვავებული იქნება კლასტერის მართვის მეთოდები. კლასტერის და მისი ცალკეული რგოლების საქმიანობის ეფექტურობა შესაძლებელია რიგი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. კერძოდ: პარნიორების ეკონომიკურ საქმიანობაში გამჭვირვალობა; ახალი მიდგომები ფინანსების და ლოჯისტიკის მართვის თვალსაზრისით. თევზგამოზრდის, თევზმოპოვების და თევზგადამუშავების საწარმოების ურთიერთობების ფორმებბის განსხვავებულობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაბეგვრისა და ბუღალტრული აღრიცხვის ვარიანტების შერჩევას, რამაც მაქსიმალურად სრულად უნდა უზრუნველყოს საგა-



დასახადო ვალდებულებების მინიმიზაცია.

თევზსამეურნეო კლასტერის მართვას გააჩნია გარკვეული ეტაპობრივობა და თითოეულ ეტაპზე განსხვავებულია ძირითადი გადასაჭრელი ამოცანების ჩამონათვალი. შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური საქმიანობის სამი განსხვავებული ეტაპი:

- ♦ პირველი - თევზსამეურნეო კლასტერის შექმნა;
- ♦ მეორე - სასტარტო პერიოდი;
- ♦ მესამე - მიმდინარე საქმიანობა.

თითოეული ეტაპის ამოცანების გადაჭრა კლასტერის მართვის შემდგომ დონეზე გადასვლის საშუალებას იძლევა.

თევზსამეურნეო კლასტერის შექმნის ეტაპზე საჭიროა მისი შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება; ინტეგრირების წესების განსაზღვრა (იურიდიული პირის დაფუძნების ან იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე); დამფუძნებელი დოკუმენტაციის მომზადება;

ორგანიზაციული სტრუქტურის, მართველობითი ორგანოს განსაზღვრა; კლასტერის წევრების სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მათი შიდა პოტენციალის და ინტეგრირებულ სტრუქტურაში მათი შესაძლო ადგილის განსაზღვრა.

სახელმწიფო რეგისტრირებისათვის საჭირო ფორმალური ქმედებების განხორციელება ან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადება საშუალებას მისცემს კლასტერს დაიწყოს ფუნქციონირება. მოცემულ ეტაპზე უპირველესყოვლისა უნდა განისაზღვროს მოცემული ინტეგრირებული სტრუქტურის მისია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, ინდიკატური მაჩვენებლები, მონაწილეთა ფუნქციები, პასუხისმგებლობის ცენტრები.

ფუნქციონირების დაწყება ლოგიკურად გადადის მიმდინარე საქმიანობაში. შეიძლება გამოვყოთ თევზსამეურნეო კლასტერის მართვის პროცესის შემდეგი ძირითადი კომპონენტები: ფასების პოლიტიკა (როგორც ზოგადად, ასევე ბაზრის ცალკეული სეგმენტის მიხედვით); ინვესტიციების მოზიდვა; ინოვაციების პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკა; მარკეტინგული პოლიტიკა.

უცხოური პრაქტიკის კვლევამ უჩვენა, რომ კლასტერის შექმნის საწყის ეტაპზე, ფინანსირებას პარიტეტულ საფუძველზე ანხორციელებენ ტერიტორიული ადმინისტრაციული ორგანოები და ინტეგრაციის მონაწილეები (ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმა). როგორც წესი, ფინანსური საშუალებების ნახევრის წყაროს წარმოადგენს ცენტრალური და რეგიონალური ბიუჯეტი, ხოლო მეორე ნახევარი წარმოადგენს კლასტერის მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები.

დასკვნა

თევზსამეურნეო კლასტერის შექმნა საშუალებას იძლევა გადაიჭრას ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების ფართო სპექტრი. კლასტერის პირობებში, თევზის პროდუქტსე ზემოქმედი ფაქტორების უზრუნველყოფის ხარჯზე, ამაღლდება წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად ამაღლდება თავად პროდუქციის მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. აბრალავა ა. ზარანდია ჯ. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა (სახელმძღვანელო) სოხუმის სახ. უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი. თბილისი.

2. ბარათაშვილი ე.,თაკალანძე ლ. გრძელიშვილი ნ. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება (სახელმძღვანელო). გამომცემლობა სოხუმის სახ. უნივერსიტეტი. თბილისი.

3. ბარათაშვილი ე. თაკალანძე ლ. გრძელიშვილი ნ. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბილისი.

4. ბარათაშვილი ე. ციმინტია კ. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა". თბილისი.

5. გაგნიძე ი. კლასტერების როლი კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში, საერთაშორისო კონფერენცია "ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში", თბილისი.

6. Портер М. Международная конкуренция: Конкурент. преимущества стран: [Пер. с англ.] / Майкл Портер; [Предисл. В. Д. Щетинина]. М.: Междунар. отношения, 1993 - 895 с.

7. Dahmen E. Enterpreneurial Activity and the Development of Swedish Indasty, 1919-1939. Stockholm, 1950.

8. Александрова Л.А. Кластеризация в экономике: предпосылки, закономерности, механизмы / Л.А. Александрова. Саратов, 2005. - 171 с.

9. Воронов А. Кластерный анализ - база управления конкурентоспособностью на макроуровне / А. Воронов, Д. Буряк // Маркетинг. - 2003. - с. 11-20.

10. Третьяк В.П. Кластеры предприятий / В. П. Третьяк. - М. : Август Борг, 2005. - 132 с.

1. Емельянов С.В. Американский опыт повышения национальной конкурентоспособности // США - Канада: экономика, политика, культура. - 2002. - N 11. - с. 58-69.

FISHINDUSTRY CLUSTER IN GEORGIA AS AN ORGANIZATIONAL INNOVATION

NINO KAVTARADZE
professor of GTU
ARCHIL PARTSVANIA
PhD of GTU
E-mail: a.phartsvania@gmail.com

SUMMARY

In the article approach of authors is expounded to the problem of increase of competitiveness in fish industry of Georgia by means of integration of fish industry enterprises and representatives of other types of activity. Base principles of creation and functioning of fish industry cluster are certain.

Key words: Fishery cluster, Fish industry, Economic integration